ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება - საქართველო
Cultural Consulate of the Embassy of the Islamic Republic of Iran - Georgia

N 198369/5124 17.02.2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ ნანა გაფრინდაშვილს

მოგესალმებით,

უპირველეს ყოვლისა, გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას თქვენსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ.

მოხარულები ვართ, რომ საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციად ქცეული კულტურული ურთიერთობა და მეგობრობა კვლავაც გრძელდება.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება თავს მოვალედ მიიჩნევს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში სპარსული ენის სწავლების პროცესს. ჩვენ არ ვიშურებთ ძალისხმევას, რათა ამ მნიშვნელოვან საკითხში მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა არსებული შესაძლებლობა და გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები სასწავლო პროგრამების ხელშეწყობისთვის.

გამომდინარე აქედან, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის მიმართულების მხარდაჭერის მიზნით, გამოთქვამს მზადყოფნას, უზრუნველყოს სწავლის საფასურით სტუდენტები, რომლებიც აირჩევენ ირანისტიკის მიმართულებას; გარდა ამისა ხელი შეუწყოს ირანის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გრძელ და მოკლევადიან სასწავლო გაცვლით პროგრამებში მათ მონაწილეობას. თქვენი მხრიდან ამ ინიციატივის მხარდაჭერის შემთხვევაში, გთხოვთ, განათავსოთ შესაბამისი ინფორმაცია თქვენი